როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებები?
ბავშვის დაცვა ძალადობისგან

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსში საუბარი იქნება ბავშვის დაცვაზე ძალადობისგან, კერძოდ, ბავშვის უფლებების დაცვის ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებზე. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას ბავშვი ძალადობისგან.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთ აღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცედურის აღძვრას.

ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხი მოიცავს:

- ძალადობის სახეების ცოდნას;
- ძალადობისაგან ბავშვთა უფლებების დაცვის ადგილობრივი მექანიზმების ცოდნას;
- ძალადობისაგან ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ცოდნას,
- კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მშვიდობიანად გადაჭრის გზების ცოდნას;
- პოზიტიური პედაგოგიკის მიდგომების ცოდნას.

ბავშვი ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს:

- ოჯახის წევრების მხრიდან;
- სკოლაში ან ქუჩაში სხვა ბავშვების მხრიდან;
- სკოლაში მასწავლებლების ან ადმინისტრაციის მხრიდან;
- ნებისმიერი მოქალაქის მხრიდან.

წინამდებარე რესურსი ეხება ბავშვის უფლებების დაცვის ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებს.

სკოლის ფარგლებში ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების პროცედურები ცნობილია ყველა მასწავლებლისთვის. თუმცა, ბავშვის დაცვა ძალადობისგან იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციაში ეს მოხსენიებულია როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც აქვს შეხება ბავშვებთან, პასუხისმგებელია მათ დაცვაზე ძალადობისგან.

ბავშვთა ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით შექმნილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“. მასში აღწერილია პროცედურები, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალადობის ფაქტების შეტყობინება შესაბამისი ორგანოებისთვის (პოლიცია, სოციალური სააგენტო და ა.შ.) და მათზე რეაგირება.

ბავშვის დაცვა ძალადობისაგან მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ბავშვის უფლებათა კოდექსში (საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი 5004-Iს 27/09/2019) ბავშვზე ძალადობა ნახსენებია, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე. ბავშვის ძალადობისაგან დაცვის უფლებას ეძღვნება ცალკე თავი.

ბავშვთა მიმართ ძალადობა სხვადასხვა სახით ხდება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, კიბერძალადობა, უგულებელყოფა, იძულება ...). ბავშვზე პირდაპირი ფორმით ძალადობის გარდა, მის ფსიქიკასა და განვითარებაზე მძიმე ზეგავლენას ახდენს მშობლებს შორის სისტემატური კონფლიქტი, ჩხუბი, ფიზიკური შეურაცხყოფა და ა.შ. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ფაქტების შემსწრე ბავშვიც მიიჩნევა მსხვერპლად, ვინაიდან ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული კონფლიქტისას ბავშვი განიცდის მძიმე მორალურ და ფსიქიკურ ტანჯვას.

ძალადობის შემთხვევის გამოძიების შემდეგ, საქმეს განიხილავს საერთო სასამართლო. გასაჩივრების შემთხვევაში საქმე გადაეცემა სააპელაციო სასამართლოს, ხოლო თუ რომელიმე მხარე არ იქნა დაკმაყოფილებული, საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლო.

2016 წელს საქართველო მიუერთდა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 2011 წლის დამატებით ოქმს კომუნიკაციის პროცედურის შესახებ. ამ ოქმის თანახმად, ძალადობის მსხვერპლ ბავშვს (14 წლიდან), ბავშვების ჯგუფს ან ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ მიმართონ გაეროს ბავშვის უფლებების დამცველ კომიტეტს, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილა მათი სარჩელი. მიმართვა შესაძლებელია თუ შესრულებულია შემდეგი 3 პირობა ერთდროულად:

- სახელმწიფო მიერთებულია ზემოთ აღნიშნულ მესამე დამატებით ოქმს;
- საქმე განხილული იყო სახელმწიფოს შიგნით ყველა ინსტანციაში;
- ბოლო ინსტანციაში განხილვიდან გასულია 1 წელზე ნაკლები დრო.

კომიტეტს შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს საქმე განსახილველად.

საქართველო ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის აღნიშნულ დამატებით ოქმს მიუერთდა 2016 წელს.

კომიტეტის გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ სახელმწიფოები ასრულებენ მის რეკომენდაციებს, ვინაიდან მათი არშესრულება ცუდად აისახება მათ რეპუტაციაზე.

ქვემოთ გთავაზობთ ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე განხილვის ორ რეალურ მაგალითს.

მაგალითი N 1

ფოთის საქალაქო სასამართლო [1] **24 აგვისტო, 2017**

ბრალდების არსი: 2017 წლის აპრილიდან მაისამდე ბრალდებული თავის არასრულწლოვან შვილს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და უკრძალავდა სახლიდან გასვლას. 2017 წლის 15 მაისს, დაახლოებით 21:00 საათზე, იმ მოტივით, რომ, აკრძალვის მიუხედავად, გასული იყო სახლიდან, არასრულწლოვანს ბრალდებულმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და რამდენჯერმე დაარტყა ქამარი ზურგის არეში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა და სისტემატური შურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ).

სასამართლოს შეფასება: სასამართლოს განმარტებით, „განსახილველ შემთხვევაში მკაცრად უნდა გაიმიჯნოს არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და ოჯახური ძალადობა. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საკითხი ეხება არასრულწლოვანს და ბავშვის უფლებათა კონვენციით რეგლამენტირებულ მის ფუნდამენტურ უფლებებს. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან უხეშად გადაილახა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და გადაიზარდა ძალადობაში, რასაც სისტემატური ხასიათი მიეცა. ბრალდებულმა ვერ გააცნობიერა საკუთარი შვილის ასაკი, მასთან ურთიერთობის ფორმა და მისი ქმედების მიზანი და მოტივი გახდა ძალადობით არასრულწლოვანი შვილის დამორჩილება. ხოლო, დანაშაული ჩადენილ იქნა საკმაოდ მძიმე ფორმით, რაც გამოიხატა არასრულწლოვნის ქამრით ცემაში. სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალებული არ არის შერიგებული ბრალდებულთან. ამ უკანასკნელს საამისოდ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს, უფრო მეტიც, ბრალდებულს არც სამომავლოდ აქვს დასახული საკუთარ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის ნომინალიზაცია და, ამ მხრივ, მას სასამართლოსთვის განმარტება არ მიუცია“.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

გააცანით მოსწავლეებს ბრალდების არსი და მოაწყვეთ დისკუსია: ბრალდებულის საქციელიდან რომელია თქვენთვის მიუღებელი?

გააცანით მოსწავლეებს ტექსტის დანარჩენი ნაწილი და ჰკითხეთ, რომელი სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე მიმდინარეობს ბრალდებულის საქმის განხილვა.

ხაზი გაუსვით, რომ ადგილობრივმა სასამართლომ დააკისრა სასჯელი ბრალდებულს.

მაგალითი N2

ეს მაგალითი მასწავლებელმა შეიძლება მისცეს მოსწავლეებს განსახილველად ნაწილ-ნაწილ. არ არის საჭირო მოსწავლეებისთვის სათაურის წინასწარ გაცნობა.

PHR-მა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში პირველი დავა მოიგო [2]

პირველი ნაწილი

როგორ დაიწყო ისტორია?

2017 წლის იანვარში საჯარო ბაღში 3.5 წლის გიორგიმ[1] აღმზრდელის დავალება ვერ შეასრულა - სახლი კარგად ვერ დახატა. გაბრაზებულმა აღმზრდელმა გიორგის ხელი სახისა და ყურის არეში დაარტყა. ბავშვს სახეზე დაზიანებების კვალი დაეტყო. გიორგის გამოსაყვანად მისულმა დედამ ბავშვის სახეზე დაზიანებები შეამჩნია და მიზეზი ჰკითხა, რაზეც გიორგიმ უპასუხა, რომ მასწავლებელმა სცემა.

გააცანით ტექსტის პირველი ნაწილი და სთხოვეთ, ჯგუფებში მსჯელობის შედეგად გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- როგორ მოიქცეოდით გიორგის მშობლის ადგილზე?

- თქვენი ვარაუდით, რა გაგრძელება მოჰყვებოდა თქვენს მოქმედებას?

მეორე ნაწილი

ლალიმ[2] პოლიციას მიმართა. გამოძიება მაშინვე დაიწყო. ბავშვმა პოლიციას უამბო რაც მოხდა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ დაადგინა, რომ გიორგის სახეზე ნამდვილად

[1] სახელი შეცვლილია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით.
[2] ბავშვის დედა. სახელი შეცვლილია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით.

ჰქონდა დაზიანებები, რომლებიც მიყენებული იყო ბლაგვი საგნის გამოყენებით. ლალიმ გამოძიებას უთხრა, რომ დილით ბაღში მისულ ბავშვს დაზიანებები არ ჰქონია და ისიც, რომ გიორგის არც ალერგია ჰქონია აქამდე.

რამდენიმე თვის განმავლობაში 3,5 წლის გიორგი ელოდებოდა პოლიციისგან პასუხს, თუმცა უშედეგოდ. ლალიმ ბავშვის ინტერესების დასაცავად ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ 2018 წლის აპრილში მიმართა.

საქმეში ჩართვის დღიდან ორგანიზაციის ადვოკატებმა არაერთხელ მოითხოვეს გიორგის მიმართ ჩადენილი ძალადობის სათანადოდ გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი ზომების მიღება, თუმცა უშედეგოდ.

2018 წლის 08 ივნისს ადვოკატებმა გიორგის დაზარალებულად ცნობა მოითხოვეს მის მიმართ აღმზრდელის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტზე.

პროკურორმა ადვოკატების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ ვერ დგინდებოდა, რომ ბავშვს დაზიანებები ძალადობის შედეგად ჰქონდა მიღებული. პროკურორის უარი გიორგის ადვოკატებმა ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივრეს, თუმცა უშედეგოდ.

პროკურატურამ გიორგის დაზარალებულად ცნობაზე უარი უთხრა.

გააცანით მოსწავლეებს მეორე ნაწილი და სთხოვეთ, გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- არსებულ ვითარებაში, თქვენი ვარაუდით, როგორ იმოქმედებდა საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია.

- როგორ რეაგირებას მოახდენდა მშობელი?

მესამე ნაწილი

აღმზრდელი, რომელზეც გიორგი მიუთითებდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს, თუმცა მისი გათავისუფლების გადაწყვეტილებაში არ მიუთითეს გიორგის მიმართ ძალადობის შესახებ. ამიტომ სასამართლომ აღმზრდელის გათავისუფლება უკანონოდ ცნო და ის კვლავ ბაღში აღადგინა იმავე პოზიციაზე.

გიორგის ადვოკატებმა მტკიცებულებები შეაგროვეს და 2018 წლის ნოემბერში გიორგის უფლებების დასაცავად გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიმართეს.

გააცანით მოსწავლეებს მესამე ნაწილი და სთხოვეთ, გასცენ პასუხი შემდეგ კითხვაზე:

- რა პასუხი იყო მოსალოდნელი გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტისგან?

მეოთხე ნაწილი

2022 წლის 07 ივნისს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია გიორგის ძალადობისგან დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლით.

კომიტეტმა განმარტა, რომ გიორგის საჯარო ბაღში მისვლისას სახეზე რაიმე დაზიანება არ ჰქონდა. ვერ იქნა წარდგენილი რაიმე დამაჯერებელი განმარტება ბავშვის ყურებსა და სახეზე არსებული დაზიანებების შესახებ, რომელიც სავარაუდოდ საჯარო ბაღის მასწავლებლის მიერ ბავშვის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში განხორციელდა.

კომიტეტმა მხედველობაში მიიღო, რომ ბავშვმა დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერა საჯარო ბაღის აღმზრდელის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა, რაც განმტკიცებული იყო სხვა მტკიცებულებებითაც, მათ შორის, ერთ-ერთი ბავშვის ბებიის მონათხრობით, რომ მას ხშირად უნახავს, იგივე აღმზრდელი როგორ სჯიდა მის შვილიშვილსაც; ასევე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც. აღმზრდელის მითითება, რომ ბავშვის სახეზე დაზიანება ალერგიის შედეგი იყო, არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით.

კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ აგრეთვე დაარღვია გამოძიების სტანდარტი. განმარტა, რომ:

ბავშვის მიმართ ძალადობის საქმეებზე გამოძიებას უნდა აწარმოებდნენ კვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი და უნდა იყენებდნენ ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ და ბავშვზე მორგებულ მიდგომებს. სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი, რომ დაიცვან ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ასევე, გამოძიება უნდა წარმიმართოს სწრაფად და გონივრულ ვადაში.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბავშვი სპეციალიზებულმა გამომძიებელმა გამოკითხა ფსიქოლოგისა და მამის თანდასწრებით, თუმცა სახელმწიფომ არ უზრუნველყო გამოკითხვის ვიდეო გადაღება, რომ დაეცვა ბავშვის ჩვენება შემდგომ განხილვებში გამოყენების მიზნით ან იმის დასადგენად, რომ ბავშვს ნამდვილად განემარტა სიმართლის თქმის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაიწყო. დაახლოებით 10 თვე დასჭირდა გამოძიებას გამოეკითხა ბაღის ორი თანამშრომელი, რომლებიც ასევე ადანაშაულებდნენ აღმზრდელს; 15 თვე დასჭირდა სხვა ბავშვების მშობლების გამოსაკითხად. სახელმწიფომ ვერ ახსნა ამ გაჭიანურების მიზეზები. ბავშვის ადვოკატს გამოძიების დაწყებიდან 19 თვის შემდეგ მიეცა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება. საბოლოო ჯამში, კომიტეტმა განმარტა, რომ 5 წელზე მეტია, რაც სახელმწიფო აწარმოებს გამოძიებას მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე. კომიტეტმა დაასკვნა, რომ ამგვარი გამოძიება ვერ აკმაყოფილებს სისწრაფისა და ეფექტურობის სტანდარტებს.

კომიტეტის განმარტების თანახმად, სახელმწიფომ არ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება და ვერ უზრუნველყო ბავშვის მიმართ სხეულებრივი დასჯის საქმეზე ეფექტური გამოძიების წარმოება, რითაც დაარღვია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი.

მეოთხე ნაწილის წაკითხვისას მოსწავლეებმა უნდა ამოიწერონ გამოძიებისას დაშვებული დარღვევები.

მეხუთე ნაწილი

რა დაევალა სახელმწიფოს?

კომიტეტმა სახელმწიფოს დაავალა, უზრუნველყოს ეფექტური კომპენსაციის გაცემა ბავშვზე.

სახელმწიფომ ასევე უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რომ უზრუნველყოს მსგავსი დარღვევების პრევენცია, განსაკუთრებით სხეულებრივი დასჯის შემთხვევათა სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

კომიტეტს სურს, სახელმწიფომ 180 დღის ვადაში წარადგინოს ინფორმაცია აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჯაროება და ფართო მისაწვდომობა ქართულ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ეს არის გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის პირველი გადაწყვეტილება ბავშვის სხეულებრივ დასჯასთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ, სადაც კომიტეტმა სახელმწიფოს ბავშვის უფლებების დარღვევა დაუდგინა.

გააცანით მოსწავლეებს მეხუთე ნაწილი.

სთხოვეთ მოსწავლეებს, დეტალურად გაარჩიონ რა და რა მიმართულებით მისცა კომიტეტმა დავალებები სახელმწიფოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხატიაშვილი გ. საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე;
2. PHR-მა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში პირველი დავა მოიგო https://phr.ge/publication/news/510?lang=geo&fbclid=IwAR1SkBwD7LCquCopdy2BEoXyP1QTECzO5eWo3ju2VxTKPKYWqnW-i9EWTMk ;
3. ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია.